ასოციაციასთან კომუნიკაციის განსხვავებული წესები:

- **ნებისმიერი** განცხადება, წერილი თუ მომართვა (მათ შორის, საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი თუ სხვა ტიპის ცნობების გამოთხოვის შესახებ) გთხოვთ, გამოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: info@gba.ge; პასუხს (მათ შორის, გამზადებულ ცნობებს) მიიღებთ ელექტრონული ფორმით.
- განცხადების ან წერილის **მატერიალური ფორმით** ოფისის მისამართზე მიტანის შემთხვევაში, აღნიშნული კორესპონდენცია მოათავსეთ ოფისის შესასვლელთან განთავსებულ სპეციალურ საფოსტო ყუთში.
- **საწევრო გადასახადთან დაკავშირებით** ინფორმაციის მისაღებად გამოიყენეთ შემდეგი ელექტრონული ფოსტა: m.gamdlishvili@gba.ge ან დარეკეთ ნომერზე: 555070786
- **ეთიკის კომისიის აპარატთან კონსულტაციის** გავლის მიზნით, კითხვები გამოაგზავნეთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: ethics@gba.ge ან დარეკეთ ნომერზე: 0322987878 (შიდა ნომერი - 4)
- **ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანისთვის** ისარგებლეთ ასოციაციის ვებგვერდზე განთავსებული საჩივრის ელექტრონული ფორმით (https://bit.ly/39zrGEx) ან საჩივარი გამოაგზავნეთ დასკანერებული სახით შემდეგი ელ-ფოსტით: ethics@gba.ge
- **ეთიკის საკითხებზე რეკომენდაციის** მიღების მიზნით ადვოკატებმა ისარგებლეთ შემდეგი ელ-ფოსტით: opinion@gba.ge

ასოციაციის ტრენინგებთან და კომიტეტების მუშაობასთან დაკავშირებით გაცნობებთ:

- **მარტის თვეში დაგეგმილი ადვოკატთა ტრენინგები გადაინიშნა აპრილის თვეში** (დარეგისტრირებულ მონაწილეებს დამატებითი დეტალები ეცნობებათ სასწავლო ცენტრის მიერ). კითხვების შემთხვევაში ისარგებლეთ შემდეგი ელ-ფოსტით: training@gba.ge ან დარეკეთ ნომერზე: 555010605
- **პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მესამე ნაკადის** თეორიული კურსი დაიწყება 30 მარტს. კურსის მონაწილეებს დამატებითი დეტალები ეცნობება სასწავლო ცენტრის მიერ. კითხვების შემთხვევაში ისარგებლეთ შემდეგი ელ-ფოსტით: e.sisvadze@gba.ge ან დარეკეთ ნომერზე: 593384583

- **ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის მოსამზადებელი კურსით** გათვალისწინებული ლექციები დაიწყება 30 მარტს. კურსის მონაწილეებს დამატებითი დეტალები ეცნობებათ სასწავლო ცენტრის მიერ. კითხვების შემთხვევაში ისარგებლეთ შემდეგი ელ-ფოსტით: a.gogolauri@gba.ge ან დარეკეთ ნომერზე: 591270001
- **ასოციაციის კომიტეტის სხდომები** როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში განახლდება 1-ლი აპრილიდან. აუცილებლობის შემთხვევაში, კომიტეტები (განსაკუთრებით, **ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტები**) მუშაობას აგრძელებს ონლაინ რეჟიმში. შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ შემდეგი ელ-ფოსტით: r.tsintsadze@gba.ge ან დარეკეთ ნომერზე: 577694671

ასოციაციის თითოეული თანამშრომელი მომართულია, რომ არსებულ სიტუაციაში შეუფერხებლად განხორციელდეს ასოციაციის საქმიანობა, ხოლო ზემოთ ჩამოთვლილი გზებით ასოციაციასთან კომუნიკაციისას შექმნილი რაიმე დაბრკოლების შემთხვევაში დაუკავშირდით ჩვენს **ცხელ ხაზს:** 577694671